

**ტიპობრივი ტესტები ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის  
ტოქსიკოლოგიურ ქიმია II-ში**

1. რომელი მეცნიერის სახელს ატარებს ტოქსიკური ნივთიერებების იზოლირების ზოგადი მეთოდი შემუშავებული წყლით?

- ა. მ.დ. შვაიკოვა - ა.ა. ვასილიევას მეთოდის
- ბ. ვ.ფ. კრამენკოს მეთოდის
- გ. სტას-ოტოს მეთოდის
- დ. პ. ვალოვას მეთოდის

2. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ იზოლირების II ეტაპზე გამოყენებული ექსტრაქტები?

- ა. მაღალი სელექციურობა
- ბ. წყლის ხვედრით წონაზე დაბალი ხვედრითი წონა
- გ. დუდილის მაღალი ტემპერატურა
- დ. ქსოვილის უჯრედში დიფუნდირების უნარი

3. ქვემოთ ჩამოთვლილი, რომელი მეთოდი გამოიყენება დამადასტურებელ მეთოდებად, ტოქსიკური ნივთიერებების აღმოსაჩენად ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ანალიზში?

- ა. იმუნოქიმიური
- ბ. ქრომოგენული რეაქციები
- გ. თხელფენოვანი ქრომატოგრაფია
- დ. გაზური ქრომატოგრაფია-მას-სპექტრომეტრით

4. შემუშავებული სპირტით (სტას-ოტოს მეთოდი) ექსტრაქციის დროს, რომელია ყველაზე რაციონალური საშუალება პროტეინების დასაღეჭად?

- ა. აცეტონი
- ბ. ნატრიუმის ვოლფრამატი
- გ. სამქლორიანი ძმარმჟავა
- დ. ეთანოლი

5. ქიმიურ სტრუქტურაში, რომელი ფუნქციონალური ჯგუფის არსებობით აიხსნება მორფინის ფუძე ხასიათი ( $pK_a = 7,8$ )?

- ა. ფენოლური ჰიდროქსილის არსებობით
- ბ. სპირტული ჰიდროქსილის არსებობით
- გ. მესამეული აზოტის ატომის არსებობით
- დ. ნახშირწყალბადოვანი ჯაჭვის არსებობით

6. ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებებიდან სინჯის მომზადების პროცესში, რომელს უნდა ჩაუტარდეს ქლორწყალბადმჟავით ჰიდროლიზი?

- ა. კოკაინს;
- ბ. მორფინს;
- გ. კანაბინოიდებს.
- დ. ბარბიტურატებს

7. ჩამოთვლილთაგან, რომელი ნივთიერება იქნება მჟავა-ქლოროფორმიან ექსტრაქტში?

- ა. ბარბიტურატები
- ბ. ფენოთიაზინის წარმოებულები პირაზოლები
- გ. ალკალოიდები
- დ. ფენილალკილამინები

8. ჩამოთვლილთაგან, რომელი ნივთიერება ექსტრაჰირდება ორგანული გამსხნელებით მჟავე არედან?

- ა. მორფინი
- ბ. ფენობარბიტალი
- გ. ქინაქინა
- დ. ნოვოკაინი

9. რა სახით შეიწოვებიან მოწამვლისას ტოქსიკური ნივთიერებები კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან?

- ა. დისოცირებული მოლეკულების
- ბ. ცილებთან კომპლექსების
- გ. არადისოცირებული მოლეკულების
- დ. კონიუგატების

10. ჩამოთვლილთაგან, რომელი ფაქტორები მოქმედებენ სამკურნალო ნივთიერებების მეტაბოლიზმსა და ტოქსიკოკინეტიკაზე?

- ა. გენეტიკური
- ბ. სამკურნალო საშუალების იშვიათად გამოყენება
- გ. სამკურნალო საშუალების ხანგრძლივად გამოყენება
- დ. სამკურნალო საშუალების არანდანიშნულების მიხედვით გამოყენება